<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევისთვის ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევს მიენიჭოს ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ზღვისპირა ქუჩა
ნაპირსამაგრი ნაგებობა
01.02.502
01.02.507
01.00.287
01.00.324
01.01.834
01.01.391
01.17.01.138.083
01.17.01.138.084
01.17.01.138.024
01.17.01.138.007
01.17.01.138.042
01.17.01.138.028
01.17.01.138.012
01.17.01.138.031
01.17.01.138.033
01.17.01.137.008
01.17.01.137.004
01.17.01.137.007
01.17.01.136.009
01.17.01.136.026
01.17.01.135.009
01.17.01.135.006
01.17.01.135.002
01.17.01.135.001
01.17.01.134.005
01.17.01.134.012
01.17.01.134.023
01.17.01.134.056
01.17.01.134.030
01.17.01.134.028
01.17.01.134.025
01.17.01.134.014
01.17.01.134.052
01.17.01.134.029
01.17.01.139.023
01.17.01.139.030
01.17.01.139.025
01.17.01.139.014
01.17.01.139.027
01.17.01.139.026
01.17.01.139.013
01.17.01.139.005
01.17.01.138.021
01.17.01.138.027
01.17.01.138.098
01.17.01.138.097
01.17.01.138.017
01.17.01.138.018
01.17.01.138.061
01.17.01.138.035
01.17.01.138.019
01.17.01.138.026
01.17.01.138.024
01.17.01.138.023
01.17.01.138.022
01.17.01.138.030
01.17.01.138.031
01.17.01.138.032
01.17.01.138.033
01.17.01.138.034
01.17.01.138.036
01.17.01.138.037
01.17.01.138.038
01.17.01.138.039
01.17.01.138.040
01.17.01.138.041
01.17.01.138.043
01.17.01.138.044
01.17.01.138.045
01.17.01.138.046
01.17.01.138.047
01.17.01.138.048
01.17.01.138.049
01.17.01.138.050
01.17.01.138.051
01.17.01.138.052
01.17.01.138.053
01.17.01.138.054
01.17.01.138.055
01.17.01.138.056
01.17.01.138.057
01.17.01.138.058
01.17.01.138.059
01.17.01.138.060
01.17.01.138.061
01.17.01.138.062
01.17.01.138.063
01.17.01.138.064
01.17.01.138.065
01.17.01.138.066
01.17.01.138.067
01.17.01.138.068
01.17.01.138.069
01.17.01.138.070
01.17.01.138.071
01.17.01.138.072
01.17.01.138.073
01.17.01.138.074
01.17.01.138.075
01.17.01.138.076
01.17.01.138.077
01.17.01.138.078
01.17.01.138.079
01.17.01.138.080
01.17.01.138.081
01.17.01.138.082

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიის თავმჯდომარეს.

მოქ. იური შანავა
მის: ვიქტორიის ქ 5. ბ-1
პ/ნ 01005001322.
ტ. 2.35.05.25.
597 75 85-84

ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონში, ქ. ლომთათიძის და იმერეთის ქუჩის გადაკვეთაზე, ქ. ლომთათიძის N22 სახლიდან [illegible] ქუჩა ორად იყოფა და მთავარ ქუჩის პარალელურად მიდის ე.წ. ქ. ლომთათიძის შესახვევი, რომელიც ნაწილობრივ ფარ-თქავს მთავარ ქუჩას...

ჩვენი თხოვნაა ქ. ლომთათიძის შესახვევს ეწოდოს ქუჩა, (რომელიც სრულად აკმაყოფილებს ქუჩის, და არა შესახვევის სტატუსს) ხოლო ძირითად, მაგისტრალურ ქუჩას მიენიჭოს გამოჩენილი ქართველი მღერლის, დიდი მაესტროს ზურაბ სოტკილავას სახელი.

ზურაბ სოტკილავა წლების განმავლობაში იყო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერის და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი.

იგი, ასევე დიდი მაესტრო ზურაბ ანჯაფარიძესთან ერთად იყო მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი. ორივე მათ-განს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საოპერო ხელოვნებისა და საერთოდ, ქართული ეროვნული კულტურის მსოფლიო მას-შტაბით პოპულარიზაციის საქმეში.

PS. ზურაბ სოტკილავა ნამდვილად იმსახურებს მემორია-ლურ ბიუსტს ოპერის ბაღში დიდი ვანო სარაჯიშვილის და ზურაბ ანჯაფარიძის გვერდით.

პატივისცემით,
რიგითი ობივატელი იური შანავა

ზურაბ სოტკილავა

(1937-2017)

ოპერის მომღერალი, ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი, პედაგოგი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სოლისტი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი.

დაიბადა 1937 წელს სოხუმში. სპორტული კარიერის შემდეგ სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1960 წელს დაამთავრა. 1965 წელს დაასრულა თბილისის კონსერვატორიის პროფესორ დავით ანდღულაძის კლასი. 1965–1974 წლებში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი. 1966–1968 წლებში მივლინებული იყო მილანის საოპერო თეატრ „ლა სკალაში“ სტაჟიორად. 1974 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი. 1975 წლიდან მუშაობდა მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგად.

ზურაბ სოტკილავას შესრულება გამოირჩევა გამომსახველობით, გემოვნებით, მგზნებარე ტემპერამენტით, ლირიკული სიფაქიზითა და დახვეწილი ოსტატობით. პარტიები: აბესალომი (ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), არზაყანი (ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), ვოდემონი (პეტრე ჩაიკოვსკის „იოლანტა“), მანრიკო, ოტელო, რიჩარდი, რადამესი, ჰერცოგი (ვერდის

„ტრუბადური“, „ოტელო“, „ბალ-მასკარადი“, „აიდა“, „რიგოლეტო“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“), კავაროდოსი (პუჩინის „ტოსკა“), ედგარი (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“), ინდოელი სტუმარი (რიმსკი-კორსაკოვის „სადკო“) და სხვა.

ზურაბ სოტკილავა არის მრავალი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის ლაურეატი, მათ შორის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზის - „ოქროს ორფევსი“ (სოფია, 1968), ჩაიკოვსკის სახელობის IV საერთაშორისო კონკურის მეორე პრემია, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემია და სხვა.

1975 წლიდან მუშაობდა მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგად.

აფხაზეთის ომის შემდეგ გამოირჩეოდა მტკიცე სამოქალაქო პოზიციით - ინტერვიუებსა და საუბრებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ჩავა სოხუმში მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყველას შეეძლება ჩასვლა.